მუშათა ყველა ქვეყნის გაერთიანდით!

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ. ფაკის ორგანო.

რედაქციის: ბულვარი, კრუზენშტერნის ქ. № 4. მე-6 სართული

მთავარი კანტორა: ბულვარი, რუსთაველის ბრ. № 8. მე-2 სართული ტელეფ. 6—43

რედაქციაში საქმისთვის მიღებას აცხადებენ ყოველდღე ჯერადა კვირა-უქმეს დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომერები რედაქტორის 14—76. მმართველის 10—58

ფასი: ნომერი თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნომერი განცალკევებულ—50 ათ. მ. ნომერი ლენინგრადის სტრიქონი. საშეღლოვიერო განცხადება 1 ფიზ. მ.

დღიური

ამხ. ლენინის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეცვლილია.

ოსმალეთში: ქემალ-ფაშა კონტრრევოლიუციონერ ბანდელიერების წინააღმდეგ, ხამოკალაკი ტყვეების დაბრუნებაზე.

რუსია ოკუპაციაში: ერიის შეკითხვა - გერმანიასთან მოლაპარაკების შესახებ, ოკუპაცია ხასარგებლოა ... ვ. ... ბის, რეკლინგაუზენის რაიონში ფრანგების მიერ დაკავებულ მაღაროებში გაიფიცა 15 000 მუშა.

ინგლისში: ბურჟუაზიის ბრძოლა უმუშევრობასთან, ხოფლის მუშების გაფიცვა, ახალი ხაიდუმლო ხტამპის აღმოჩენა დუბლინში.

№ 72 შაბათი, 31 მარტი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000 მან. № 7

ინგლისი და რურის ოკუპაცია

რურის საკითხი ისევ დგას საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრში.

ჩვენ ამ ჟამად გვინდა ყურადღება მივაქციოთ ინგლისის პოზიციას საფრანგეთის „ეაჩალურ პოლიტიკისადმი, რომელიც რურის ოლქის ოკუპაციაში გამოიხატა.

ამ საკითხის შესახებ დიდბრიტანეთის თემთა პალატაში გაიმართა საგულისხმო კამათი, რომლის მოკლე ანგარიში ჩვენ გუშინ გვქონდა მოთავსებული—„ეზეთში.

გერმანიასთან დამოკიდებულების საკითხში ბევრი ხანია თავი იჩინა უთანხმოებამ ინგლის-საფრანგეთ შორის.

ჯერ კიდევ ვერსალის ხელშეკრულება თვით ლოიდ-ჯორჯს,—როგორც ეს შემდეგ გამოაშკარავდა,—მიეჩნდა განუზორკიელებელ ოცნებად და ამასთან დამლუპველად არა მარტო გერმანიის, არამედ მთელი ბურჟუაზიული ევროპისთვის. თუმცა ამან ხელი არ შეუშალა ინგლისის ყოფილ პრემიერს კვერი დაეკრა ამ „ზავისათვის“.

შემდეგ ლონდონის მთავრობამ რამოდენიმეჯერ წამოაყენა საკითხი ვერსალიან გერმანიაზე წამოკიდებული სამძიმის ცოტად მაინც შემსუბუქების შესახებ.

როცა ამ ბოლო დროს, მიმდინარე წლის პირველ თვეებში, რეპარაციის საკითხმა უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო, შედეგ მოკავშირეთა თათბირი ჯერ ლონდონში მერე პარიზში. და აქ უფრო ცხადი გახდა ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს ინგლის საფრანგეთ შორის. საფრანგეთი არაკითარ დათმობაზე არ წავიდა, პირიქით მისი პრეტენზიები უფრო გადაპარბებული აღმოჩნდა, ვინემ ამას ჭკულისმომბმს ვერსალი ხელშეკრულება. მან ახალ ახალი გარანტიები მოითხოვა გერმანიისაგან, რომელთა მიღება უდრის უკანასკნელის პოლიტიკურ დამონებას და სრულ ეკონომიურ განადგურებას.

საფრანგეთის ასეთი შეურიგებელი პოზიციის გამო აღნიშნული თათბირები პირდაპირ სასკანდალო მარცხით დათავდა. „მოკავშირეებმა“ აქვერ მიაღწიეს მოჩენებითი შეთანხმებასაც კი, რაც ოფიციალურადაც [illegible] თათბირების დაშლისას.

ამის შემდეგ, როგორც ვიცით, საფრანგეთი დაადგა დამოუკიდებელი მოქმედების გზას, ის შეესია გერმანიას და დაიპყრო რურის ოლქი, სადაც დღესაც ბატონობს და განაგრძობს უსასტიკეს რეპრესიებს.

ინგლისი საფრანგეთის ამ ნაბიჯის წინააღმდეგია, რა თქმა უნდა, თუმცა მას დღემდე უჭავია ლოდინის პოზიცია.

ლონდონის მთავრობის წარმომადგენელმა თემთა პალატაში ერთხელ კიდევ ოფიციალურად დაადასტურა „ლრმა და გარდუვალი წინააღმდეგობა“, რომელსაც ადგილი აქვს ინგლის-საფრანგეთ შორის გერმანიის და კერძოდ რურის საკითხში. ბალდუინმა (მთავრობის წარმომადგენელი) შემდეგ აღნიშნა, რომ „ს ფრანგეთი აკეთებს და ფიქრობს განგრძოს ის, რასაც ჩვენ ჯერ კიდევ ორი წლის წინად გაუბოდით.

გარდა ამისა საფრანგეთმა დაამტკიცა, რომ მას არ სურს მიიღოს რაიმე შუამავლობა და საფრანგეთის ასეთი პოზიცია სპობს შესაძლებლობას მიღებულ იქნას ამა თუ იმ საშუალებათ რაიმე შეთანხმება“.

საკითხავია, რატომ იჩენს ინგლისი ასეთ „ლმობიერებას“ გერმანიის მიმართ და რატომაა ის წინააღმდეგი საფრანგეთის მიერ გერმანიის დაძაბვისა?

ცხადია, რომ ეს მოსდის მას არა უპირველეს სამართლიანობის და ჭეშმარიტების მოტივებით.

საფრანგეთი თავისი იმპერიალისტური პოლიტიკით საფრთხეს უმზადებს ინგლისის ბურჟუაზიის ფრიად ძვირფას და სასიცოცხლო იატერესებს.

ეს აღნიშნული იყო თემთა პალატის ხსენებულ სხდომაზეც.

რურის ოლქის ოკუპაციის გამო თემთა პალატაში შეკითხვას შემტანმა ნაციონალ-ლიბერალების ორატორმა სთქვა: „ოკუპაცია ძალიან ბევრ გავლენას აზდენს ინგლისის ეკონომიურ ცხოვრებაზე და იქედან უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისის მთავრობა ვალდებულია ნაბიჯებს, რათა უკეთესი პირობები მოუპოვოს ინგლისის ბაზარს რურში. სანამ ოკუპაცია ბოდენ უტოპიურად, ყოველ შემთხვევაში ცარიელი ლაყბობის საზღვრებს მაინც ვერ სცილდებოდენ, ახლა საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის დღის წესრიგში დგანან, დგანან არა იეორიულად, არამედ როგორც რეალური ფაქტი, როგორც დაწყებული მუშაობა მხარის სამეურნეო აღმშენებლობაში. ეხლა საბჭოთა მთავრობის ყურადღება მიპყრობილია ძლიერი სპჰაერო ფლოტის შექმნაზე. და ჩვენ ვხედავთ, რომ ლოჰუნგის შემდეგ მშობიარე მასების მთელი ნებისყოფა, მთელი ენერგია შეგროვდა საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებისათვის, მისი ეკონომიური აღმშენებლობისათვის და თვით მისი არსებობისათვის მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. ადუღდა ცოცხალი მუშაობა საბჭოთა მიწა წყლის ყველა კუნჭულებში და ჩვენ ყოველ დღე ვიღებთ სასახარულო ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორის ხალისით და ენტუზიაზმით აშენებენ თავის საჰაერო ფლოტს საბჭოთა რესპუბლიკების ყველა მშრომელები. ამიერ-კავკასიის მშრომელნი ამ საქმეში უკან არ რჩებიან, შეიძლება ითქვას, რომ ისინი წინა-რიგებში დგანან და უთანასწორდებიან მოსკოვსა და უკრაინას. 28 მარტს იშვა ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის საჰაერო ფლოტი.

საჰაერო ფლოტის შესაქმნელათ არსებულმა საირიცხავო ბიუროს ამ დღეს ბევრი საბალხო კომისარიატების, ორგანიზაციების და დაწესებულებების პასუხისმგებელ წარმომადგენლებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა თავისი მიზნის რეალურათ განხორციელებას. მოეწყო ამ ერკავკასიის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის საჰაერო ფლოტის აქციონერული საზოგადოება.

საერთო საპაიო ფონდი ამ მიზნისათვის განზრახულია 1.000.000 ოქროს მანეთი. იმავე დღეს ხელის მოწერამ მოგვცა 500.000 მანეთამდი, რის გამო კრებამ დაადგინა ჩათვალოს თავისი თავი დამფუძნებელათ და აირჩია საორგანიზაციო ბიურო, რომელშიც შეიყვანენ ამხანაგები: გუსეინოვი, ეგოროვი, ჯუკაჩევი, შიუკოვი, გაჯინსკი, პოლეტაევი, ბოგდანოვი, სტურუა და იოანსიანი.

საორგანიზაციო ბიუროს დაევალა დარჩენილი პაპების რეალიზაცია, საზოგადოების ყველა ანგარიშების და წესდების შედგენა და საჰაერო ხაზების გამომუშავება. საქმე დაიწყო ჩვენ ღრეჩეთ ვართ დარწმუნებული, რომ ამიერ-კავკასიის მთელი მშობიელი მასები, აგრეთვე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ყველა მოქალაქენი, რომლებიც გრძნობენ ამ ფაქტის მნიშვნელობას და გულწრფელათ უსურვებენ მას გამარჯვებას და სურთ თანაშრომლობა ამ საქმეში, გააძლიერებენ დაბადებული „წითელი ფრინველების“ ახალგაზრდა ორგანიზმს „ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის საჰაერო ფლოტის აქციონერული საზოგადოების“ საპაიო საქმეში ენერგიული მონაწილეობით, რომ მიიღონ შესაძლებლობა ნათლათ დანახონ ჰაერის დაპყრობის საქმეში მიღწეული შედეგები. ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ და ცხოვრებაში გავატარეთ ჩვენი სურვილები.

ჩვენ მივეცით სინათლე „წითელ ფრინველებს“. ახლა ყველაფერი შენზეა დამოკიდებული ხაბჭოთა მიწა-წყლის მუშა, ეღეხო და პატიოსანი მოქალაქე:

წინ კულტურისა და პროგრესისაკენ.

ა. ეგოროვი.

სასოფლო მეურნეობა და აგრონომიული დახმარება

დღეს ყველასთვის ცხადია, რომ სოფლის მეურნეობა ჩვენში ძალიან დაბალ საფეხურზე სდგას და ეს იმ ქვეყანაში, სადაც 85 პროც.—90 პროც. მცხოვრებლებისა მისდევენ სოფლის მეურნეობას. თუმცა ზემოთ მოყვანილ დებულებას მტკიცება არა სჭირდება, მაგრამ შესადარებლათ მოვიყვან ცნობას საშუალო მოსავალისას სხვა და სხვა ქვეყნებში. (იხ. ლოტინი „სასოფლო მეურნეობა“).

	ხორბლის საშუალო მოსავალი ერთ დესეტინაზე.
ბელგია . .	128,5 ფ.
იაპონია . .	115.7 „
ინგლისი . .	123.4 „
ნოვეგია . .	120,2 „
ამერ. შეერთ. შტატები	83 2 „
საფრანგეთი . .	80.5 „
გერმანია . .	77,8 „
სერბია . .	50,2 „
რუსეთი . .	38,8 „
საქართველო . .	45 5 *)

ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოში ხუთ ჯერ ნაკლები მოსავალია, ვიდრე ინგლისში. სასოფლო მეურნეობის ჩამორჩენას სხვა და სხვა მიზეზი აქვს წარსულ ეკონომიურ - პოლიტიკურ წყობილებაში და დღეს ამაზე არ ვლაპარაკობთ...

ამ ჟამათ კი საქართველოში მთელი მიწა წყალი და სახელმწიფო ხელისუფლება მშრომელთა ხელშია და ამიტომ უნდა გამოვნახოთ საშუალება მეურნეობის აღორძინების, სოფლის ეკონომიურათ გამაგრებისა. ვსაც უნახავს ჩვენში მიწის დამოშავების ტეხნიკა, სამეურნეო იარაღის მუშაობა, თვალი, რომელთაც ითესება მინდვრები,—ის დამეთანხმება, რომ საქართველოში შესანიშნავი ბუნებრივი პირობები ყოფილა მეურნეობისა, როდესაც ასეთ დამუშავებას მოსდევს შედეგათ 40—50 ფ. ხორბალი დესეტინაზე.

როგორია ამჟამათ მდგომარეობა?

დადგა გაზაფხული. გლეხკაცობა გაფაციცებით დაეწყოფა მინდვრის მუშაობას ის ხნავს, თესავს, ფარცხავს. მაგრამ ბევრს მათგანს არა აქვს თესლი, ინვენტარი, ბალ-ვენსების საწამლე მასალა, აპარატები და სხვა. ყველა ამას დღეს მთავრობა ცხადია ვერ მიაწვდის მას საჭირო რაოდენობით. (შემდეგში ეს უნდა იკისროკოოპერატივებმა ან საკრედიტო ამხანაგობებმა, რომელიც ფეხს იკიდებს ახალ საფუძველით ამ უკანასკნელ დროს რუსეთის (ცხოვრებაში), მაგრამ ადგილობრივი მაზრის აგრონომიული ორგანიზაცია კი უნდა დაეხმაროს მათ, რითაც შეუძლია.

აგრონომიული დახმარების მოწყობა სოფლათ უნდა დავაყენოთ დღის წესრიგში, უნდა მივაქციოთ ამ საკითხს დიდი ყურადღება; დღეგანდელი მდგომარეობა, როცა აგრონომები აქა თუ იქ არიან და დახმარება კი არა სჩანს უნდა მოისპოს.

მიწის რეფორმა ამ ცოტა ხანში დამთავრდება და ეს რეფორმა თითქმის შუმდეგოთ ჩაივლის, თუ უწონდებულათ ვაწარმოებთ მიწის დამუშავებას, თუ ვთესეთ სიმინდი იქ, სადაც მაღალ კულტურას მეურნეობის გაჩაღებაა შესაძლებელი, ერთი სიტყვით თუ არ შეუფარდეთ ჩვენი მეურნეობა ახალ პირობებს. ამას თხოულობს ის მოსაზრებაც, რომ მიწა განაწილდა ყველა მშრომელების შორის და ამიტომ მიწის ნორმაც შემცირდა, და ეს მცირე ნორმა ვეღარ აცხოვრებს ერთ ოჯახს, თუ მან მეურნეობა არ აწარმოვა ინტენსიურათ.

მართალია ის, რომ ჩვენი ქვეყანა საერთოთ მეტათ სუსტია აგრონომიულ ძალებით და იმ დიდ როლს, რომელ[illegible] ზევით ვამბობდი, ვერ დავაკისრებთ მათ.

მაგრამ ისიც მიუღებელია, [illegible] რომ არსებული ძალები ვეღ გამოვიყენოთ და გაჭირვებულ სოფელს არ მივეშველოთ. ამ ჟამათ ისეთი მდგომარეობა არის, რომ აგრონომი ვერ იჩენს ენერგიის მაქსიმუმს, მას არა აქვს საშუალება მოაწყოს სანერგეები, სამეურნეო ლექციები, შეაკეთოს სას. სამეურნეო იარაღი ის ხელოსნების მოწყობით, საჭირენელი მინდვრების გამართვით, ბაღების და ვენახების მოვლით და სხვა. ამისათვის საჭიროა გამოცდილი პერსონალი და საოპერაციო ხარჯები.

პერსონალს შეიძლება მოუყაროთ თავი. ხარჯებს კი თავის თავათ ცხადია ვერ იკისრებს ცენტრი და საჭიროა თავის თავზე აიღონ ადგილობრივ აღმასკომებმა. ბევრ ადგილას ამ საკითხს უდგებიან „ახალი ეკონომიური პოლიტიკის“ თვალსაზრით, ეს ყოველთა მიუღებელი და დაუშვებელია მეურნეობის გაუმჯობესობა მისი ინტენსიფიკაცია არა ხდება ერთ ან ორ წელიწადს. ეხლა დახარჯული ფული ამ დარგში ლრმა კვალს სტოვებს სოფ. მეურნეობაში და თავს იჩენს მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ. ამიტომ აქ სულ სხვა თვალსაზრით უნდა მიუდგეთ აქ გაწეულ ხარჯებს და მის შემოსავალს.

საბჭოთა მთავრობამ დიდი დახმარება გაუწია მშრომელს ხალხს, როცა 400.000 ფ. თესლი მისცა მას წარსულ წელს. იმედია, რომ ისევ მთავრობა გაიონახავს სახსარს ან გზას, რომ აგრონომიული დახმარება მტკიცე ნიადაგზე დადგეს და სერიოზიულ ფაქტორათ იქცეს სოფლის მეურნეობაში.

მე არ ვამბობ, რომ ეს არის ერთადერთი საშუალება სოფლის აღორძინების საკითხში, აქ მთელი რიგი ზომებისა უნდა მივიღოთ—გზების გაკეთება, სკოლები, ბალავთიანი კრედიტის მოწყობა და სხ. მაგრამ თუ აგრო-დახმარება მკვიდრ ნიადაგზე დგაყენეთ, იგი ლრმა კვალს დასტოვებს სოფლის მეურნეობაში. ამაც ბოწმეა იტალიის, ბელგიის და თვით რუსეთის მაგალითიც, სადაც აღნიშნულმა დახმარებამ დიდი სამსახური გაუწია მშრომელ გლეხკაცობას.

ა. ჭურდანი.

*) თანახმად ს. ბიუროს ცნობებისა.

ინტერნაციონალური მოძრაობა საბჭოთა და პარტიულ აღმშენებლობაში

ამხ. ელიავას მოხსენება ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების მე-2-ე ყრილობაზე

ელიავა. (ტაში) ამხანაგებო, მე ეს მეორეჯერ ამ კვიაოში მართმევენ ჩემი მოხსენების შინაარსის თითქმის სამ მეთხედს. საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე ამხ. ორახელაშვილმა და ამ ყრილობაზე ამხ. ორჯონიძემ თავის ანგარიშებში გაანაწილეს ყველა პრინციპიალური საკითხები, რომელიც დაკავშირებულია ჩემ მოხსენებასთან.

ამიტომ მე ვფიქრობ თავი შეეკავა სრულიად ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის პრინციპიალურ საფუძვლების განხილვისაგან და მივუდგები ამ საკითხს მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკულის თვალსაზრისით.

ორი ძირითადი ფაქტი განსაზღვრავს ჩვენ მუშაობას ნაციონალურ საკითხის დარგში. ჯერ-ერთი საბჭოთა წესწყობილების არსებობა ყოფილ რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე.

მეორე—სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის და ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის არსებობა.

საბჭოთა წესწყობილება დამყარებული საწარმოვო საშუალებათა კოლექტიურ საკუთრებაზე. ეს წესწყობილება არის ხალხთა თანასწორობის, სტიქიურ შეკავშირების და მათი ძალ ღონის გაერთიანების საფუძველი. საბჭოთა წესწყობილების საფუძველზე მყარდება საბჭოთა რესპუბლიკების მოქმედების სტიქიური გაერთიანება.

სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკა არის ცდა მიეცეს ამ გაერთიანებას სახელმწიფოებრივ— ორგანიზაციული ფორმები.

როგორ გადავიდეთ ჩვენ სტიქიურ გაერთიანებისაგან სახელმწიფოებრივ გაერთიანებაზე?

ჩვენ გავიარეთ ბრძოლის რამდენიმე ეტაპი, სანამ შევქმნიდით სახელმწიფოებრივ გაერთიანების უმაღლეს ფორმებს.

„პირველ პერიოდში ოქტომბრის რევოლიუციის პერიოდში, როდესაც ეროვნებათა მშრომელმა მასებმა, დამტვრიეს რა ეროვნული ჩაგრის ბორკილები, პირველად ფეხზე ადგნენ თავი დამოუკიდებლად, მაშინ როდესაც უცხოელების ინტერვენციის მუქარა ჯერ კიდევ ბევალურ საფრთხეს არ წარმოადგენდა—ხალხთა თანამშრომლობას ქონდა სტიქიური, გამოურკვეველი, ჩამოუყალიბებელი ხასიათი.

სამოქალაქო ომის ხანაში პირველ რიგში წამოიჭრა ეროვნულ რესპუბლიკების სამხედრო თავდაცვის ინტერესები და ეროვნებათა თანამშრომლობამ მიიღო აგრეთვე სამხედრო კავშირის სტიქიური ფორმა.

როდესაც სამოქალაქო ომი და ინტერვენცია დასრულდა და ჩვენ გადმარჯვებულები [illegible] ... ულ ეროვნების აღდგენას [illegible] ლისტიკური გარეშემორტყმის პირობებში, ჩვენ წინაშე დ[illegible] სიცოცხლის და სიკვდილის საკითხი.

ან გამარჯვება შეგნებულ სახელმწიფოებრივ გაერთიანების გზით, ან აუცილებელი დამარცხება.

საბჭოთა რესპუბლიკების განცალკევებული ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არსებობა შეუძლებელი გახდა.

ოქტომბრის რევოლიუციის ხანის სტიქიური თანამშრომლობა, რომელიც სამხედრო კავშირად გარდაიქმნა სამოქალაქო ომის და ინტერვენციის პერიოდში, უნდა შეკრებილი ყოფილიყო სამეურნეო კავშირით.

ასე მყარდებოდა საფუძვლები სამხედრო-სამეურნეო და პოლიტიკურ კავშირსი, ასე ეყრებოდა საძირკველი მშრომელთა მრავალ ერებით დასახლებულ სახელმწიფოს იქ, სადაც წინად არსებობდა მრავალ ერებით დასახლებული სახელმწიფო, რომელიც დამყარებული იყო საწარმოვო საშუალებათა ერძო საკუთრებაზე და ხალხთა უთანასწორობაზე.

ქრონოლოგიურად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანება მოხდა საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის დაარსებამდე ადრე.

ამიერ-კავკასია—არის მრავალ ერებით დასახლებული ქვეყანა ნაციონალური უნდობლობის და შუღლის ატმოსფერული ნაშთებით, რომელიც რევოლიუციის შემდეგ ხანაში აზნაურების და ბურჟუაზიის (მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავეტელების) ბატონობის დროს მივიდა ხალხთა შორის ფორმალურ ომამდე.

ამიერ-კავკასიის ხალხთა გაერთიანების აუცილებლობა ნავარაუდევი იყო, როგორც იმ ინტერესებით, რომლის შესახებ მე ზემოთ მოგახსენეთ, ის, განსაკუთრებით ნაციონალური მშვიდობიანობის უზრუნველყოფის, ერთი და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა მოწესრიგების და მათ შორის ბრძოლის და უნდობლობის საბოლოოთ აღმოფხვრის ინტერესებთან.

ჯერ კიდევ 1921 წ. ჩვენ შევადექით ამიერ-კავკასიის გაერთიანებას. ჩვენ ძალიან ფრთხილად ვსდგამდით ნაბიჯებს.

განცალკევებულად არსებულ, დამოუკიდებელ, კარჩაკეტილ საბჭოთა რესპუბლიკებიდან ჩვენ გადავედით მათ კავშირზე. ჩვენ მოვაწყეთ საკავშირო საბჭო. ჩვენ გავაერთიანეთ ის, რაც დაუყოვნებელ გაერთიანებას მოითხოვდა. დანარჩენში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები აბსოლიუტურად დამოუკიდებელი იყვენ.

ხოლო შემდეგ, კიდევ უფრო მეტადრო გაერთიანების მიზნით, ჩვენ გადაეცით ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედ. რესპუბლიკაზე. ამას მოითხოვდა ჩვენი რესპუბლიკების მეურნეობის ინტერესები (მისი პრიმატული სასოფლო მეურნეობით) და ამ რესპუბლიკების თავდაცვის ინტერესები.

ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკა—ნახევრად ფედერატიული და ნახევრად საკავშირო სახელმწიფოა. იგი სრულიად არ გაეს საბჭოთა რუსეთს. ძალიან ხშირად ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ ჩვენ ვიმეორებთ რუსეთის შაბლონს, და რომ ჩვენ დ ვაარსეთ ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთის დაგვარად. ეს სრულიად მართალი არ არის.

ორი მომენტი ასხვავებს ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკას საბჭოთა რუსეთთან.

პირველი მომენტი—საბჭოთა რუსეთი არის ფედერაციული ნაციის ფედერაცია, იმ ნაციის, რომელიც წინად მეფის, მემამულეების და ბურჟუაზიის საშუალებით სჩაგრავდა სხვა ერებს (თათრები, ბაშკირები, ყირგიზები, უზბეკები, თურქმენები, კალმაკები და სხვ.).

ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკა არის ფედერაცია იმ ერებისა, რომელნიც არასოდეს ერთმანეთს არ სჩაგრამდენ და ჩაგრული იყვენ იმავე რუსეთის ცარიზმით.

მეორე მომენტი—საბჭოთა რუსეთში არ არის რესპუბლიკები დამოუკიდებელი სახ. კომისარიატებით.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკაში ეროვნულ რესპუბლიკას აქვს თავისი განსაკუთრებული სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა, საკუთარი სასამართლო ეს კი არის ის ელემენტები, რომელიც ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედ. რესპუბლიკას ნახევრად საკავშიროო სახელმწიფოს ხასიათს აძლევს.

ამგვარათვე ყალიბებდა ურთიერთობა ეროვნულ უსინდისობათა მიმართ ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს შიგნივ, კერძოთ საქართველოში, სადაც ფეხზეფილი, აკარა და სომხეთ ოსეთი არიან ნახევრად ფედერატიული [illegible] ნახევრად საკავშირო რესპუბლიკები.

[illegible] ამიერ-[illegible] ... ფ. [illegible] ... ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედ. [illegible] ... ა საქართველოს სომხეთის და აზერბეიჯანის მშრომელთა ინტერესებს?

სავსებით.

ეროვნული მშვიდობიანობა უზრუნველყოფილია, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები დაცული არიან გარეშე მტრებისაგან, მათ შორის სწარმოებს ნორმალური საქონლის გაცვლა-გამოცვლა, ტარდება საერთო ეკონომიური ღონისძიებანი.

არღვევს თუ არა ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედ. რესპუბლიკის არსებობა რესპუბლიკების დამოუკიდებლობას ნაციონალურ კულტურულ დარგში?

სრულიადაც არა, სრული გასაჭანი არსებობს შემოქმედებისათვის ამ დარგში.

თავდება თუ არა ფართო დამოუკიდებლობა ნაციონალურ კულტურულ დარგში. საბჭედრო-პოლიტიკურ და სამეურნეო ცენტრალიზაციასთან?

„სავსებით თავსდება პრინციპში“-ო უპასუხებს ამხ. ტროცკი თავის წერილში, რომლის ზოგიერთი ადგილები მოყვანილია დღეგანდელ დეპეშებში. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ამას.

სახელმწიფოებრივი მათი შეთანხმება პრაქტიკაში, ცხოვრებაში წარმოადგენს მართლაც დიდ სიძნელეს.

ამიერ-კავკასიის პირობებში ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედ. რესპუბლიკას ჩვენ ვსთვლით აუცილებელ და ერთად ერთ შესაძლებელ ფორმად ეროვნულ მშვიდობიანობის დასამყარებლად და მეურნეობის აღსადგენად.

მაგრამ ეს სრულიადაც არ უარყოფს შესაძლებლობას, ჯადასინჯულ იქნას გამოცდილების პრაქტიკის მიხედვით, ამიერ-კავკასიის საბჭ. რესპუბლიკის და საქართველოს, სომეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკების სახელმწიფო აპარატების სტრუქტურა.

სამეფინი ურთიერთობის საკითხები ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედ. რესპუბლიკასა და რესპუბლიკებს შორის და გაერთიანებულ და დამოუკიდებელ სახ. კომისარიატებს შორის შეიძლება განხილულ იქნას ან ყრილობის კომისიებში ან ახლად არჩეულ საოლქო კომიტეტში.

შეიძლება დავამზადოთ მასალები პარტიის მე-12-ე ყრილობისათვის, სადაც გადაწყდება საკითხები ფედერატიულ და საკავშირო ორგანოების მოწყობის და რესპუბლიკებს შორის სახალხო კომისარიატებ-ების განაწილების შესახებ.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების 2-ე ყრილობა ერთსულოვნად მოიწონებს ჩვენ მუშაობას ამიერ-კავკასიის საბ. ფედ. რესპუბლიკის დაარსების საქმეში.

ვლაპარაკობ რა ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაზე, საჭიროა შევეხოთ წმინდა პარტიულ ამოცანებს ამ დარგში.

„კომუნისტების სპეციალურ ამოცანას ამიერ-კავკასიაში შეადგენს დაუღალავი, სისტემატიური, განუწყვეტელი ბრძოლა ნაციონალისტების მიერ ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის გაღვივებულ შუღლის და უნდობლობის გრძნობის წინააღმდეგ. ყოველი ასეთი გრძნობები უნდა ჩაითვალოს შავრაზმელობათ და ანტ სემიტიზმ თ“. ასეა ნათქვამი ამხ. კამენევის თეზისების 8-ე მუხლის პირველ ნაწილში.

როგორ უნდა იქნას წარმოებული ეს ბრძოლა?

„კომუნისტებმა ხაზი უნდა გაუსვან თავიანთ პარტიულ და საბჭოთა მუშაობის დროს ყველაფერ იმას, რაც აერთიანებს ერებს, რაც საერთოა მათ შორის; დაუზოგავთ უნდა გამოამეღავნონ ყველაფერი ის, რაც ხელოვნურად ქსაქსავს და თიშავს მათ.

ამ გრძნობასთან ბრძოლის ერთერთ მნიშვნელოვან მეთოდათ, იმ გრძნობის, რომლის გაღვივებით დაინტერესებულია მენშევიზმი, დაშნაკური და მუსავატისტური კონტრ-რევოლიუცია, უნდა იქნას აღიარებული გაძლიერებული მუშაობა ყველა ეროვნებათა მუშების და გლეხების შესაკავშირებლად, სხვა ერების მუშების და გლეხების კულტურის და ბრძოლის ისტორიასთან გაცნობა და როგორც ფართო მასების, ისე და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ნამდვილ ინტერნაციონალურად აღზრდა“, ასე ლაპარაკობს ამხ. კამენევის თეზისების 8-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც მიღებული იქნა საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე.

ჩვენ პარტიულ მუშაობაში შეგჩნეულია ფეიეტები. არა გვაქვს მარქსისტული კომუნისტური ლიტერატურა, რომელიც უნდა აშუქებდეს ამხ. კამენევის თეზისებში დასმულ საკითხებს. ამიერ-კავკასიის ერები, განსაკუთრებით მუშები და გლეხები ნაკლებად იცნობენ ერთმანეთს.

ამ უცოდინარობის გამო სწარმოებს თამაში ყოველგვარი კონტრ-რევოლიუციის სულის ჩამდგმელებისა.

ზომიერი კომუნისტები პრაქტიკაში გამოდიან ეს დან, რაც თიშავს ხალხებს და ცდილობენ შეუთანხმონ [illegible] პოლიტიკა ამ [illegible] თავისი [illegible] მენტებს.

ეს კიდევ ცოტაა. ყველა ერების კომუნისტებს შორის არიან ისეთი ელემენტები, რომელნიც ერთმანეთს არ ენდობიან. ზოგიერთი კომუნისტი თათრები სთვლიან სომეხ-კომუნისტებს ფარულ დაშნაკებათ, ხოლო სომეხი კომუნისტები უცქერიან თათარ-კომუნისტებს როგორც ნამდვილ მუსავატელებს.

ზოგიერთი ელემენტები ქართველი კომუნისტებიდან ფიქრობენ, რომ დაშნაკები, კომუნისტურ ტანსაცმელში გადაცმულები სცდილობენ განახორციელონ კომპარტიის საშუალებით სომხების ეროვნული ზრახვები. ისინი თავის მხრივ სთვლიან ქართველ-კომუნისტებს ნაციონალისტ-მენშევიკებათ. (მბაყორობა, ხმები. მდევანი ადგილიდან: ეს მსმენია ამგვარი სიტყვები ზოგიერთებისაგან).

ამ მოვლენის წინააღმდეგ საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა, უამისოთ შეუძლებელია გამარჯვება ჩვენ მომავალში.

ეხლა სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის შესახებ.

ეს კავშირი წარმოადგენს საბოლოო ეტაპს ხალხთა თანამშრომლობის საბჭოთა წესწყობილების ნიადაგზე სამხედრო-სამეურნეო და პოლიტიკურ კავშირის განსაზღვრულ ფორმაში ჩამოყალიბებისას.

სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის მოწყობის საკითხი არის ჩვენთვის დიდი პრაქტიკული საკითხი.

როგორ უნდა მოეწყოს ამ კავშირის შენობა, როგორი დამოკიდებულება უნდა იყოს საკავშირო ორგანოებსა და კავშირში შემავალ რესპუბლიკების ორგანოებს შორის?

კავშირის აპარატების მოწყობას საფუძვლათ უნდა დაედოს ორი პრინციპი:

ბრძოლა პრინციპი—კავშირის ყველა [illegible] ... ლიკასა და რესპუბლიკებს შორის და გაერთიანებულ და დამოუკიდებელ სახ. კომისარიატებს შორის შეიძლება განხილულ იქნას ან ყრილობის კომისიებში ან ახლად არჩეულ საოლქო კომიტეტში.

შეიძლება დავამზადოთ მასალები პარტიის მე-12-ე ყრილობისათვის, სადაც გადაწყდება საკითხები ფედერატიულ და საკავშირო ორგანოების მოწყობის და რესპუბლიკებს შორის სახალხო კომისარიატე-ბის განაწილების შესახებ.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების 2-ე ყრილობა ერთსულოვნად მოიწონებს ჩვენ მუშაობას ამიერ-კავკასიის საბ. ფედ. რესპუბლიკის დაარსების საქმეში.

ვლაპარაკობ რა ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაზე, საჭიროა შევეხოთ წმინდა პარტიულ ამოცანებს ამ დარგში.

„კომუნისტების სპეციალურ ამოცანას ამიერ-კავკასიაში შეადგენს დაუღალავი, სისტემატიური, განუწყვეტელი ბრძოლა ნაციონალისტების მიერ ამიერ-კავკასიის ხალხთ

მენშევიკ მუშების განცხადება

ვაგონის პარკის და დეპოს მუშები—მენშევიკები გამოდიან მენშევიკურ პარტიიდან

ვაგონის პარკისა და ტფილისის დეპოს მუშათა—საქართველოს ს. დ. მ. პ. (მენშევიკების) წეკრთა 1923 წ. 29 მარტის საერთო კრებამ, განიხილა რა საკითხი პოლიტიკურ მომენტის შესახებ, დაადგინა: ვინაიდან ფაქტიურათ დამტკიცებულია მენშევიკური პარტიის გაკოტრება მე-2 ინტერნაციონალის მეთაურობით, გაკოტრება მათი შემთანხმებლობის პოლიტიკისა ბურჟუაზიის მიმართ ყოველგვარ ინტერვენციებისა და მუშათა კლასის და სოციალურ რევოლიუციის წინააღმდეგ მიმართულ მთელ რიგ აჯანყებებს სახით იმ დროს, როდესაც მუშათა კლასმა ერთიანი ფრონტი უნდა შექმნას ბურჟუაზიულ კლასის წინააღმდეგ,—ჩვენ ზემ- დასახელებულ პარტიის წევრნი ხმა-მაღლა ვაცხადებთ მთელ მსოფლიოს მუშათა კლასის წინაშე, რომ ვტოვებთ მენშევიკურ პარტიის რიგებს და ჩვენ კლასობრივ ვალათ ვთვლით მთელან მუშათა ფრონტის შექმნას მე 3 კომინტერნის წიაღელ დროშის ქვეშ მსოფლიო იმპერიალიზმ-ს საბოლოოთ დამხობისათვის. ძირს მსოფლიო იმპერიალიზმი!

გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციას!

1. გოზალოვი გაბრიელი 1913 წ.
2. ბედენაშვილი ვარლამ 1903 წ.
3. ბუტიკაშვილი 1907 წ.
4. სიმონაშვილი ქრისტეფ. 1917 წ.
5. კარტოზია 1906 წ.
6. აივაზოვი სიმონი 1917 წ.
7. ცერაძე გერასიმე 1905 წ.
8. გილაშვილი ეპიფანე 1915 წ.
9. ნასყიდაშვილი ისაი 1912 წ.
10. გულდადავა მიხ. 1903 წ.
11. აფაზავა ნესტორ 1905 წ.
12. რაქიაშვილი 1898 წ.
13. კაპანძე დომენტი 1908 წ.
14 წიმალაშვილი ნიკ. 1903 წ.
15. ჩრდილელი აღექსანდრე 1917 წ.
16. ელბაქიძე 1905 წ.
17. სამაგლაშვილი პეტრე 1907 წ.
18. ჩლაიძე ნიკ. 1904 წ.
19. ალანია ალ-დრე —
20. ქოდუა გალაქტ. 1915 წ.
21. ვეშაპური 1917 წ.
22. თეთრაძე 1906 წ.
23. ხარატიშვილი გაბო 1917 წ.
24. ძიძიგური ივანე 1905 წ.
25. სულაძე ვ. —
26 ნადირაძე 1919 წ.
27. ბოჭორიშვილი 1902 წ.
28. ლომიძე ერმოლოზ 1905 წ.
29 ჩუტკარაშვილი 1918 წ.
30. ლიაჩენკო 1917 წ.
31. ლეჟავა ერასტი 1919 წ.
32. მარგიშვილი ვასო 1917 წ.
33. დოლიძე ვეღიამინე 1917 წ.
34. ომაძე გრიგოლ 1904 წ.
35. გოგორაშვილი 1917 წ.
36. ლეკვეიშვილი ბეს. 1917 წ.
37. მიქაელაძე ანდრო 1907 წ.
38. მინდიაშვილი ისაკ 1905 წ.
39. გაბოძე გიორგი 1917 წ.
40. კოტოიანცი ბაგრატი 1920 წ.
41. თეგზ ძე სილოვან 1896 წ.
42. ბიბილეიშვილი გოლა 1905 წ.
43. ბენენაშვილი არჩილ 1903 წ.
44. ლავრელაშვილი დავით 1906 წ.
45 ტატიაშვილი ალ—დრე 1917 წ.
46 ნატრაძე ნიკ. 1905 წ.
47. გოგლიანც მელქონ 1917 წ.
48. ღუბელაშვილი 1908 წ.
49. ნაზარბეკოვი ერვნდ 1908 წ.
50. მზიავაშვილი ადამ 1907 წ.
51. მელაშვილი ისაკ 1900 წ.
52. გურაშვილი ილია 1917 წ.
53. ტატუნი ალ-დრე 1912 წ.
54. შალამბერიძე ივანე 1907 წ.
55. ართმენაშვილი ნიკ. 1905 წ.
56. ჩხეიძე არეთი 1904 წ.
57. ბუღაძე დიმ. 1917 წ.
58 მ ქაძე თათეოზ 1899 წ.
59. სურენელაშვილი თედორე 1917 წ.
60. სტვილია იაკობ 1917 წ.
61. ენუქიძე სიმონ 1901 წ.
62. ქუთხული მიხ. 1895 წ.
63. ღუბელაშვილი 1901 წ.
64. მამაჯანოვი სიმონ 1905 წ.
65. ცერაძე სამსონ 1900 წ.
66 ლეკაშვილი ალ დრე 1909 წ.
67. ბარბაქაძე ვასილ 1902 წ.
68. ბასილაშვილი გიორგი 1917 წ.
69. ფირცხალავა 1901 წ.
70 მურადაშვილი 1908 წ.

არ უნდა დაურჩეს ისეთ ფაქტებს, რომელიც თუ გინდ ოდნავ მოგვგონებენ, იმ მეოდებს, რომელსაც მიმართავდა მეფის თავრობა.

ხშირათ ჩვენში ლაპარაკობენ, რომ ამიერ-კავკასიაში დიდმნიშვნელური და კოლონიზაციური ტენდენციების გამტარებელი არის წითელი არმია, რომელიც უმთავრესად რუს მუშაგლეხებისა ან შესდგება.

ამ ეიხვიზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება.

რასაკვირველია, აქ ჯარში მომუშავე კოლონისტებს შორის შეიძლება იყოს ელემენტები, რომლებიც შეუგნებლათ ატარებენ დიდმპყრობლურ ტენდენციებს.

მაგ. უფრო არ ეარგებ. რომ ჯარის პარტიულ კონფერენციაზე ჩვენ ვადიარეთ, რომ როგორც უპარტიოები ისე კოლონისტები, რომლებიც ვარდებიან 99 მეასედათ ძველ მეფის დროს მოხელეებისაგან შემდეგ წლიში, განიცდიან მათ გავლენას და შეუმჩნეველად ითვისებენ ისეთ შეხედულებებს, რომელთაც კომუნიზმთან

ცალკე კავკასიის არმიის პარტიული კონფერენციის რეზოლიუცია.

მოიხსენია, რა ამხ. ელიავის მოხსენება „აბჭოთა და პარტიულ აღმშენებლობაში ნაციონალური მომენტის“ შესახებ კავკასიის ცალკე არმიის მეორე პარტიული კონფერენცია ადგენს:

1. ურყევათ იქნას დაცული ამ საკითხში რუსეთის კომუნისტური პარტიის მეთე ყრილობის მიერ და შემდეგი პარტიული დადგენილებებით ნაჩვენები ხაზი.

2. სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს არმიაში ნაციონალური ანტოგონიზმის გამოცდილებებს და კერძოთ უკანასკნელ ხანებში არმიაში აღმოჩენილ ანტისემიტიზმს.

3. ამასთანავე ერთად საჭიროა ყველა ღონისძიებით, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვათ დიდმპყრობელური, კოლონიზატორული ტენდენციების გამომჟღავნება.

4. პარტიული კონფერენცია მიუთითებს, რომ არმიაში ადგილი აქვს კოლონიზატორობის ყველაზე უფრო შეუმჩნეველ და მასთან ერთად ყველაზე საშიშ ფორმას—ნაციონალური სიამაყის და ნაციონალურ—კულტურული უპირატესობის გრძნობას.

5. ამ არაჯანსაღ მოვლენებთან ბრძოლის კონკრეტიული ზომების სახით, პარტკონფერენცია მიუთითებს შემდეგ ღონისძიებებზე:

ა) ნაციონალური პრობლემის თეორიულად შესწავლა მარქსისტული ლიტერატურის და პარტიისა და კომინტერნის პროგრამებით.

ბ) ამიერ კავკასიის ერების ისტორიის, კულტურისა და ცხოვრების პირობების და აგრეთვე მოსახლეობის განსაკუთრებული ნაწილის გარშემო პირობების შესწავლა.

გ) შესაძლებლობის ფარგლებში ადგილობრივი ენების შესწავლა.

დ) არმიას კომუნისტების ადგილობრივ პარტიულ ამხანაგებთან დაახლოება არა მარტო საზოგადოებრივ-პარტიულ მუშაობის დროს, არამედ პირად ურთიერთობაშიც.

6. ხედავს რა თავისებურ ცვლილებებს ძველი რუსი ჩინოვნიკების სულიერ განწყობილებაში, რომლებიც ვითომდა ითვისებენ—ინტერნაციონალიზმის იდეებს და ხშირათ აწარმოებენ აგიტაციას შოვინიზმის და ნაციონალიზმის წინააღმდეგ. კონფერენცია მოაგონებს პარტიის ყველა წევრებს, რომ აღნიშნულ ელემენტების ასეთი სულიერი განწყობილება არის ინტერნაციონალიზმის იდეების გაყალბება და მისი სრული შებღალვა.

ძველი, მეფის დროის მოხელეები, რომლებიც შეჩკეული იყვნენ მოხელეების თანამდებობაზე მინოპოლიას, ნაციონალიზმს ხედავენ იმაში, რომ ისინი განდეგილი არიან თავიანთ ადგილებიდან, ინტერნაციონალიზმის იდეები კი ესმით რაგორც ადგილობრივ ინტელიგენციაზე თავისი ბატონობის დაბრუნება.

ამიტომ კონფერენცია აფრთხილებს ყველა კომუნისტებს მათთან რაიმე სოლიდარობისაგან რა სახისა არ იყოს ის, ამავ დროს უნდა გვხსოვდეს, რომ დაღაწყისში ერთის ეხედვით სუსტ გავლენას, დაბოლოს შეუძლია მიგვიყვანოს ისეთ მოვლენამდი რომელსაც არა ორზროვანათ ეწოდება შავრაზმელობა.

7. კონფერენცია ავალებს ოლიტიკურ სამმართველოს რაც შეძლება დაჩქარებით დაამუშავოს მასალები ნაციონალური კითხვის შესახებ და გაავრცელოს ნაწილებში თეზისების, საგაზეთო წერილების და პოპულიარული ბროშურების სახით კავკასიის ეხოვრების ყველა დარგების შესახებ ამასთანავე მომავალ მუშაობაში საჭიროა ამ საკითხის შესახებ ნაწილებადმი მიცემულ დირექტივების როორც რიცხვით ისე ხარისხით გაძლიერება.

ეს რეზოლიუცია ნათლათ გვიჩვენებს თუ როგორი სულიერი გაწყობილება სუფევს არმიის კოონისტებში.

ამ მხრივ აუცილებელია ყველგვარი შესაძლებლობა ძველი დიდმპყრობელური მეთოდების განმეორებისა.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მტკიცე გადაწყვეტილება, თადებია იმის, რომ სხვა გაერთიანებულ აპარატებიც არ გადაიქცევიან დიდმპყრობელურ ტენდენციების გატარების იარაღად.

საჭიროა მხოლოდ აქ, ადგილებზე, ყურადღებით ვადეკნოთ თვალყური ჩვენი სახელმწიფოს ყველა ორგანოების მოქმედებას და არ გადაწყდებოდეს დაყრდნობა იმ რომენტებზე, რომლებიც აკავშირებენ და აახლოებენ ერებს და სასტიკი ვებრძოლოთ წარსულის ყველა მემკვიდრეობას და ყველაფერს, რაც ახლა მიგვყვანართ განშორებისა და ნაციონალური კარჩაკეტილობისაკენ.

ამ რიგად, ამხანაგებო, თუ ჩვენ ნაციონალური კითხვისადმი პრაქტიკულად მიდგომის დროს დავეყრდნობით ჩემ მიერ ნაჩვენებ პრინციპებს, წარმატებით გადავჭრით ნაციონალურ ურთიერთობის რთულ პრობლემას და მოვაახლოვებთ ჩვენთვის ასე სოციალური მსოფლიო რევოლიუციის ზეიმს. (ტაში).

ამხ. ელიავას მოხსენებით მიღებული რეზოლიუცია.

ამხ. ელიავას მოხსენებით ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია საბჭოთა აღმშენებლობაში ნაციონალური მომენტის შესახებ:

